N 165
27/09/2019

165-1-4-201909271538

ხელშეკრულება

ერთის მხრივ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მარინა ონიანი („შემდგომში შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „ალე“ დირექტორი კახა შამუგია, („შემდგომში მიმწოდებელი“) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში-ხელშეკრულება) შემდეგზე:

§1 ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია CPV **15800000** - სხვადასხვა საკვები პროდუქტი (გამარტივებული შესყიდვა, კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“).

№	დასახელება	რაოდ. მახასიათებელი	რაოდენობა	ფასი	ჯამი
1	ხაჭაპური იმერული	ცალი	3	8,00	24,00
2	ლობიანი	ცალი	1	5,00	5,00
3	ისპანახის ფხალი	პორც	4	5,00	20,00
4	ბადრიჟანი ნიგვზით	პორც	4	6,00	24,00
5	ბულგარული ნიგვზით	პორც	4	7,00	28,00
6	ქათმის სალათი	პორც	4	6,00	24,00
7	წიწილა შემწვარი	ცალი	2	15,00	30,00
8	მჭადი	ცალი	20	0,50	10,00
9	ყველი იმერული	პორც	4	6,00	24,00
	ჯამი				**189,00**

§2 ხელშეკრულების ღირებულება

2.1 .საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 189,00 (ასოთხმოცდაცხრა) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

§3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. .მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს შესაბამისი სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის დადასტურებიდან **10 სამუშაო** დღის განმავლობაში.

§4 მიღება - ჩაბარების წესი

4.1 საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაანსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

§5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. **საქონლის** მიწოდების ადგილია :ქ. თბილისი, წყალსადენის 13 ;

5.2. **საქონლის** მიწოდება განხორციელდება **2019 წლის 30 სექტემბრამდე;**

§6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული **საქონლის** ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს **საქონლის** ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს **საქონლის** მიწოდება ჯეროვნად, კეთისინდისიერად და სრული მოცულობით, ასევე პასუხისმგებელია **საქონლის** ხარისხზე და ვარგისიანობაზე.

§7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ვალდებულების შესრულებისაგან.

§8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები

შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

§9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემ,თხვევაში,

მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

§10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

§11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2019 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით;**

12 მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი :**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 16 **ს/კ:** 249250466 **საბანკო რეკვიზიტები:** ხაზინის ერთიანი ანგარიში **ბანკის კოდი:** TRESSGE22.	**შპს „ალე“** ქ.თბილისი გლდანის 1 მ/რ, 4 /104 ბ/კBAGAGE22 ა/ა GE29BG0000000543102900 ს/კ 400145017

შპს „ალე“

დირექტორი კახა შამუგია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა

და სოციალური დაცვის სამინისტრო

მარინა ონიანი

მინისტრის მოადგილე
ხელმძღვანელობა